საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 17 02213073

14/09/2017

,საქართველოს რეფორმების ასოციაციის''
დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ელექტრონული მისამართი:
Tkets11@freeuni.edu.ge

ბატონო პაატა,

თქვენი №334 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად ატარებს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვას საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, რათა თავისი საქმიანობა საზოგადოებაზე უფრო მეტად ორიენტირებული და ეფექტური გახადოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი იყენებს სამინისტროს ვებ–გვერდს, როგორც საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ერთ–ერთ საკომუნიკაციო საშუალებას. ამ მიზნით, ვებ–გვერდზე police.ge შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე გამოკითხვა პერიოდულად ქვეყნდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ–გვერდზე police.ge გამოკითხვა – „რა პერიოდულობით უნდა გამოაქვეყნოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულის სტატისტიკა“ განთავსდა 2016 წლის 29 დეკემბერს.

აღნიშნული გამოკითხვა ამ ეტაპზე არის მიმდინარე და გაგრძელდება წლის ბოლომდე შესაბამისად, მისი შედეგები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება გამოკითხვის დასრულების შემდგომ.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) / საჯარო
ინფორმაციის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
გიორგი სახოკია

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge